იზი ასლამაზ-ბარათაშვილი

# მომღერალი თევზები

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2019

**ავტორი** იზი ასლამაზ-ბარათაშვილი
**რედაქტორი** გიორგი კეკელიძე,
**რედაქტორ-კორექტორი** მარინა ჟღენტი
**მხატვარ-ილუსტრატორი** დალი მუხაძე
**ტექნიკური რედაქტორი** ჯულიეტა ანდღულაძე
**კომპიუტერული უზრუნველყოფა** ნათია დვალიშვილი

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
მისამართი: კოსტავას ქ. 77, თბილისი 0171, საქართველო.
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9644-1-1

დაიბეჭდა საქართველოში

# I ნაწილი

# სანი და დანი

ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ ყველას:
ღრუბლებში რწევას, პეპლებთან ფრენას,
ზღაპრულ სამყაროში – ოცნებას, მღერას,
მშობლიურ კუთხეში – სიკეთის რწმენას!



იყო და არა იყო რა, იყო ერთი თავმოყვარე ირემი. მას ძალიან უყვარდა მშობლიური ტყე და მისი ბინადრები.

ალიონზე კეთილშობილი
ირემი მზის ამოსვლას
ხვდებოდა და ჩიტების
გალობას უსმენდა, მერე კი
პატარა გორაკებს და ველებს
გადაურბენდა, თან თვალს
ავლებდა ტყეს, ხომ არავის
უჭირსო, ბოლოს ახლოს
მდებარე ტბისკენ მიექანებოდა,
რომ ფერადი თევზების
ცქერით დამტკბარიყო და
მათთვის საკვები მიეტანა.

